1961/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 6 (129) 28 თებერვალი 1961 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

92. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს მ. მ. დუბინინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
93. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების სრულიად საკავშირო გაერთიანების („სოიუზსელხოზტეხნიკა") შექმნის შესახებ.
94. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ს. კუმუჩოვის სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზსელხოზტეხნიკის" თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
95. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ვ. კონსტანტინოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
96. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვაჭრობისა და ზღვაოსნობის საერთო საკითხებზე სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების ოქმის რატიფიკაციის შესახებ.
97. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონის დამატების შესახებ.
98. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უნგრელი მოქალაქეების კაროი ხორნიანსკისა და შარი ხორნიანსკის სამამულო ომის II ხარისხის ორდენებით დაჯილდოების შესახებ.
99. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინორეჟისორ მ. ი. რომის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

100. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის შესახებ.

განყოფილება მეორე

101. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტყიბულის, ჩხორო-წყუსა და ყვარლის რაიონებში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

92 აკადემიკოს მ. მ. დუბინინის შროშის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და ქიმიის მეცნიერების დარგში დამსახურებისათვის აკადემიკოსი მიხეილ მიხეილის ძე დუბინინი დაჯილდოებულ იქნას შროშის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 17 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

93 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების სრულიად საკავშირო გაერთიანების („სოიუზსელხოზტექნიკა“) შექმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზსელხოზტექნიკა“, რომელიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიჰყიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სათადარიგო ნაწილებს, მინერალურ სასუქებსა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, უზრუნველყოფს მანქანების რემონტის ორგანიზაციასა და გამოყენებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

94 ამხ. პ. ს. კუჩუმოვის სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზსელხოზტექნიკის“ თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. პავლე სერგის ძე კუჩუმოვი სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზსელხოზტექნიკის“ თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

95 ამხ. თ. ვ. კონსტანტინოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის ჟურნალ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი ამხ. თევდორე ვასილის ძე **კონსტანტინოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

96 ვაჭრობისა და ზღვაოსნობის საერთო საკითხებზე სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების ოქმის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ვაჭრობისა და ზღვაოსნობის საერთო საკითხებზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1958 წლის 25 აპრილის შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების ოქმი, ხელმოწერილი ბონში 1960 წლის 31 დეკემბერს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 21 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

97 სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონის დამატების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამატოს სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 25 მუხლს მითითება სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის ქონების კონფისკაციის შესახებ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. **სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა**

სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, აგრეთვე სავალუტო ფასეულობათა ან ფასიანი ქაღალდების სპეკულაცია —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე ქონების კონფისკაციით ან კონფისკაციის გარეშე, სავალუტო ფასეულობისა და ფასიანი ქაღალდების აუცილებელი კონფისკაციით“.

2. დამატოს სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონს 27 მუხლი შემდეგი შინაარსით:

„მუხლი 27. **სახელმწიფო დანაშაულობის დაფარვა**

წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვა იმ სახელმწიფო დანაშაულის, რაც გათვალისწინებულია ამ კანონის 1—6, 9, 14, 15, 24 და 25 მუხლებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე ან გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 24 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

98 უნგრელი მოქალაქეების კაროლი ხორნიანსკისა და შარი ხორნიანსკის სამამულო ომის II ხარისხის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

უნგრელი მოქალაქეები **კაროლ ხორნიანსკი** და **შარი ხორნიანსკი**, რომლებმაც დახმარება გაუწიეს საბჭოთა არმიის ჯარებს 1945 წელს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან უნგრეთის ტერიტორიის გათავისუფლებისათვის ბრძოლების პერიოდში, დაჯილდოებულ იქნან **სამამულო ომის II ხარისხის** ორდენებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 24 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 კინორეჟისორ მ. ი. რომის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის კინორეჟისორი მიხეილ ილიას ძე **რომი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის** წითელი **დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 თებერვალი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

100 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის შესახებ

1. გათავისუფლდეს ამხ. მიხეილ გრიგოლის ძე **ვეფხვაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

2. დაეკისროს ამხ. ემენი პართენის ძე **ტაკიძეს** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის ასრულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 15 თებერვალი.

განყოფილება მეორე

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

101 ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის რაიონებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ლიკვიდაციისა და ამ საბჭოებიდან ზოგიერთ ადგილობრივ საბჭოებზე ტერიტორიების გადაცემის შესახებ

მოისმინა რა ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ამხ. ამხ. ი. გიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობიანის, შ. ხუნტუას და ზ. ჭერაშვილის მოხსენებები ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის რაიონებში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს, რაც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ისე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის რაიონების მშრომელებიც ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ არჩევნების დღის მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებით შეხვედრისათვის, სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დროულად დაიწყეს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება და არჩევნების ორგანიზაციის სამუშაოები ძირითადად დებულების სრული შესაბამისობით მიმდინარეობს. დებულებით გათვალისწინებულ ვადებში ჩატარდა რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიების წევრთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საერთო კრებებზე წამოყენება და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე დამტკიცება, შეიქმნა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები და დამტკიცდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. ოლქებისა და უბნების სიები და საარჩევნო კომისიების შემადგენლობა გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში. 26 თებერვლისათვის ყველა საარჩევნო უბანში გამოკრული იყო ამომრჩეველთა სიები.

ბევრი რამ გაკეთდა არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადებისათვის. საარჩევნო ოლქები და უბნები ძირითადად უზრუნველყოფილია საარჩევნო დოკუმენტაციის საჭირო რაოდენობის ბლანკებით, სატელეფონო კავშირითა და სხვა საჭირო ხელსაწყოებით. ზოგ საარჩევნო უბანში მოწყობილია ხმის მიცემის კაბინები, ხოლო ზოგან ახლა მიმდინარეობს კაბინების მოწყობა.

ახლა მშრომელთა მაღალი აქტივობის ვითარებაში ტარდება რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატების კანდიდატების წამოყენებისადმი მიძღვნილი კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა კრებები. ამ კრებებზე ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელები ასახელებენ მოწინავეებს — მოწინავეთა შორის, რომელთაც უნარი შესწევთ პირნათლად შეასრულონ დეპუტატის საპატიო მოვალეობა.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში გააჩნიათ ზოგიერთი ნაკლოვანებანი.

ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნისას დადგენილებაში არ უჩვენა ზოგიერთი საარჩევნო ოლქის საზღვარი, ხოლო ოლქებისათვის ნომრები საერთოდ არ დაუწესებია. აღსანიშნავია, აგრეთვე რომ ყვარლის რაიონის შილდის და ტყიბულის რაიონის ორპირის და საწირის სასოფლო საბჭოების აღმასკომებში არ მოიპოვება სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა წამოყენების ოქმები.

ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის რაიონების ზოგიერთი საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილი არ არის არჩევნების დებულებითა და სხვა საარჩევნო ლიტერატურით. 22 თებერვლისათვის არჩევნების დებულებები არ ქონდათ ყვარლის რაიონის № 3, 10, 18 და 21 საარჩევნო უბნებს, ტყიბულის რაიონის ორპირისა და საწირის და ჩხოროწყუს რაიონის ახუთის სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე არსებულ საარჩევნო უბნებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ამ რაიონების ზოგიერთი საარჩევნო ოლქი და უბანი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოწყობილი და გაფორმებული, ზოგან დაწესებული არ არის საუბნო-საარჩევნო კომისიების წევრთა მორიგეობა. კომისიებს არა აქვთ შედგენილი სამუშაო გეგმები, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილი არ არის გათბობა-განათებითა და სატელეფონო კავშირით.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ამ რაიონების ზოგიერთი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულება ჯერ კიდევ არ შესდგომია მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას, მართალია უკვე დაიწყეს მოსახლეობისათვის არჩევნების დებულების განმარტება, მაგრამ ამ მუშაობით ჯერ კიდევ არ არის მოცული მთელი მოსახლეობა, გარდა ამისა არჩევნებთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებითი მუშაობა მჭიდროდ არაა დაკავშირებული კოლმეურნეთა წინაშე მდგომ სამეურნეო ამოცანებთან.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გაძლიერონ მუშაობა მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების მზადებისათვის, მიიღონ ზომები რათა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილ იქნას არჩევნების დებულებით, საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებით და სხვა საარჩევნო ლიტერატურით;

ბ) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და რაიონული და ძირეული პრესის საშუალებით გააჩაღონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა არჩევნების დებულების, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპების საკითხებზე. ამასთან ფართოდ გააცნონ ამომრჩევლებს ადგილობრივი საბჭოების წამოყენებული და რეგისტრირებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითეული დეპუტატობის კანდიდატის პიროვნება და მისი შრომითი საქ-მიანობა.

გ) საარჩევნო უბნებში შემოიღონ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და აქტივისტების ყოველდღიური მორიგეობა, მათი საშუალებით უზრუნველყონ ამომრჩეველთა შეკითხვებზე დროული და სრულყოფილი პასუხის გაცემა;

დ) ქმედითი დახმარება გაუწიონ საუბნო საარჩევნო კომისიებს მუშაობაში, დაეხმარონ მათ ფუნქციების განაწილებაში, მისცენ სათანადო ინსტრუქტაჟი ხმის მიცემის ოქმებისა და სხვა საარჩევნო დოკუმენტების სწორად შევსების შესახებ, მიაღწიონ იმას, რომ ყველა საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილ იქნას გათბობა-განათებით სატელეფონო კავშირითა და არჩევნების დღისათვის აუცილებელი მოწყობილობით. ამასთან მთის სოფლებში არსებულ საარჩევნო უბნებთან ამინდის ყოველგვარ პირობებში კავშირის დამყარების მიზნით შექმნან ახალგაზრდული ჯგუფები და მოამარაგონ ისინი საჭირო ხელსაწყოებითა და ტრანსპორტით;

ე) გადაამოწმონ ამომრჩეველთა სიების შედგენის სისწორე; ამომრჩეველთა სიებში შეიტანონ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქე. ამასთან დაიზუსტონ იმ ახალგაზრდა ამომრჩეველთა დაბადების თვე და რიცხვი, რომელთაც არჩევნების დღისათვის უსრულდებათ 18 წელი და შეიტანონ ისინი ამომრჩეველთა სიებში;

ვ) დაამთავრონ დეპუტატების ყველა კანდიდატის რეგისტრაციაში გატარება და 8 მარტამდე ადგილობრივ პრესაში მათი სიის გამოქვეყნება;

ზ) დაბეჭდონ და დებულებით გათვალისწინებულ ვადებში ჩაბარონ საარჩევნო უბნებს საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები;

თ) გულდასმით მოამზადონ რეგისტრირებული დეპუტატობის კანდიდატების ამომრჩეველებთან შეხვედრისადმი მიძღვნილი კრებები. ამასთან შეხვედრები დაამთავრონ 4-დან 16 მარტამდე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ხუთი დღის ვადაში შეამოწმონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა და დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1961 წლის 28 თებერვალი.